



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 69

2013 წლის 19 აპრილი

ქალაქი ხაშური



დაბა სურამში მდ. სურამულაზე არსებული ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2012 წელში მოწყობილი ნაპირსამაგრი ნაგებობების ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებად გადმოცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2012 წლის 27 დეკემბრის თანდართული აქტის საფუძველზე:

1. აღებული იქნას ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაბა სურამში მდ. სურამულაზე არსებული ქვეითად მოსიარულეთა სახიდე გადასასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილი ნაპირსამაგრი ნაგებობა ღირებულებით 320387.38 ლარი (სამასოცი ათას სამასოთხმოდცა შვიდი ლარი და ოცდათვრამეტი თეთრი);
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში დადგენილი წესით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე